სოციალური მეწარმეობის ცენტრი

საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი

7

www.cse.ge

აპრილი, 2013 წელი

- ✓ *სოციალური მეწარმეობა საქართველოში*
  - ❖ სოციალური მეწარმეობის კონფერენცია და გამოფენა
  - ❖ ახალი მსუბუქი ელექტროეტლი

- ✓ *სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები*
  - ❖ სოციალური მეწარმეობის 2012 წლის მსოფლიო ფორუმი რიო დე ჟანეიროში
  - ❖ სოციალური მეწარმეობის IV გლობალური სამიტი

❖ სოციალური მეწარმეობის კონფერენცია და გამოფენა

2013 წლის 20 მარტს ჩატარდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) ღონისძიება - **„სოციალური მეწარმეობის კონფერენცია და გამოფენა“**. ღონისძიებას ესწრებოდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. გამოფენაზე 13-მა სოციალურმა საწარმომ წარმოადგინა საკუთარი ნაწარმი, კერძოდ, ეს საწარმოებია:

- ✓ ხმის ჩამწერი სტუდია „ჰერა +“ (თბილისი);
- ✓ ხალხური რეწვის ნიმუშების მაღაზის-სალონი - „ხვარამზე“ (დუშეთი);
- ✓ ქართული ჩაის დაფასოება-დისტრიბუცია - “თერნალი +“ (ქუთაისი);
- ✓ ”ქალი და განვითარება” (გორი);
- ✓ თემქა-ზღვისუბანი (თბილისი);
- ✓ სოციალური საწარმო ნუკრიანი (ნუკრიანი);
- ✓ სოციალური საწარმო ნათარეული (ნათარეული);
- ✓ ხალხური რეწვის სალონი ”იკორთა” (წეროვანი);
- ✓ მებოცვრეობის განვითარების საწარმო ”გიგანტი” (სენაკი);
- ✓ მინანაქრის საწარმო - ”ანიკა” (თბილისი);

- ✓ ხის სათამაშოების საწარმო "არბო" (თბილისი);
- ✓ სვანური მარილის საწარმო - "ერთად" (თბილისი);
- ✓ ელკანას საწარმო "ბიოველი" (თბილისი).

კონფერენციაზე გაიმართა წარმოდგენილი პროდუქციის გამოფენა გაყიდვა და აუქციონი. გაიმართულ დისკუსიაზე სოციალურ საწარმოებში არსებული ძირითადი პრობლემური საკითხებიც დასახელდა, მაგალითად, საკანონმდებლო ბაზის არარსებობა, სოციალური საწარმოებისთვის სესხის აღებასთან დაკავშირებული სირთულეები და ა.შ. ასევე დაისახა სამომავლო გეგმები და გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები საქართველოში საოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

აღნიშნულ ღონისძიებას მხარდაჭერა გაუწია "შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ" (Sida) და "ადგილობრივი ინიციატივებისათვის კანადის ფონდმა" (Canada Fund for Local Initiative).

❖ ახალი მსუბუქი ელექტროეტლი

სოციალურ საწარმოში "ეტლების საამქრო" ამიერკავკასიის მასშტაბით ინოვაციური ახალი ელექტროეტლი ააწყვეს.

"კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის" ბაზაზე 2009 წელს დაფუძნებულ სოციალურ საწარმო "ეტლების საამქროში", ძირითადად, დასაქმებულია ეტლით მოსარგებლე პირები, 2009-2012 წლებში დამზადდა 1500-ზე მეტი აქტიური ტიპის ეტლი, 20-ზე მეტი მობილური პანდუსი, ეტლში სწორად ჯდომისათვის 180-მდე სხვადასხვა ტიპის საკორექციო საშუალება.

საწარმომ 2013 წელიც საკმაოდ აქტიურად დაიწყო და 12 მარტს "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" და "ნეიროგანვითარების ცენტრის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე ახალი მსუბუქი ელექტროეტლი და ეტლით მოსარგებლეთა ჯდომის კორექციის საშუალებები წარმოადგინეს. ამ სახის ეტლი სიახლეს წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ამიერკავკასიის მასშტაბით. ამერიკაში ანალოგიური ეტლის ღირებულებაა 12 000 დოლარი, ხოლო საწარმოს მიერ აწყობილი ეტლის ღირებულება - 4 000 ლარი და თავის ანალოგთან შედარებით 3-ჯერ მსუბუქია. ამ თანხაში შედის ასევე მომსახურების სრული პაკეტი, რაც გულისხმობს ეტლის ინდივიდუალურ მორგებას.

ორგანიზაციის საქმიანობა აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე "საქართველოს ეტლების წარმოების ქსელი" პროექტის ფარგლებში განხორციელდა. პრეზენტაციას დაესწრნენ: აშშ-ს ელჩი საქართველოში - რიჩარდ ნორლანდი, ჯანდაცვის და სოციალური საკითხების მინისტრის მოადგილე - დავით ლომიძე და სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამერიკის ელჩმა ქართველ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გმირები უწოდა, რადგან ისინი არაადაპტირებული გარემოს მიუხედავად, მაინც განაგრძობენ აქტიურ საქმიანობას და ბრძოლას საკუთარი უფლებების დასაცავად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოთქვა მზაობა ეტლების ბენეფიციარებისთვის შეძენაზე, თუმცა მოთხოვნა ბევრად მეტი აღმოჩნდა ვიდრე სახელწიფოს მიერ შესყიდული ეტლების რაოდენობა - შემოსულია 400 განაცხადი, ხოლო სახელმწიფო შეკვეთა პირველ ეტაზე მხოლოდ 20 ეტლით შემოიფარგლა. ვიმედოვნებთ, მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად ეს მაჩვენებელი შეიცვლება.

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

❖ სოციალური მეწარმეობის 2012 წლის მსოფლიო ფორუმი რიო დე ჟანეიროში

2012 წლის 17-18 ოქტომბერს ბრაზილიის დედაქალაქ რიო დე ჟანეიროში „NESsT"-ის ორგანიზებით მოეწყო "სოციალური მეწარმეობის მსოფლიო ფორუმი" (Social Enterprise World Forum-SEWF 2012), სადაც 30 ქვეყნის 700-ზე მეტი წამყვანი სოციალური საწარმო მონაწილეობდა. ფორუმს ორგანიზება გაუწია წამყვანმა ბრაზილიურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "Ação da Cidadania", რომელიც ორიენტირებულია ბრაზილიაში შიმშილის და სიღარიბის დაძლევაზე.

ფორუმი გამოირჩეოდა საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით.

ასევე მის ფარგლებში მიმდინარეობდა პარალელური სესიები 8 სხვადახვა თემაზე:

- ✓ ფინანსები და ინვესტიციები
- ✓ სოციალური მეწარმეობა ბრაზილიაში
- ✓ ინოვაცია, გამოგონება და დიზაინი
- ✓ ლიდერობის განვითარება, განათლება და ახალგაზრდები
- ✓ მენეჯმენტი და უნარების განვითარება
- ✓ ქეისები და მოდელები
- ✓ ეკონომიკური შესაძლებლობები და სოციალური სამართლიანობა
- ✓ ხელმისაწვდომი გარემო

ფორუმის მთავარი სპონსორი იყო „**BNDES** - Brazilian Development Bank". მხარდამჭერი სოციალური საწარმოების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: www.nesst.org/sewf/suppliers/
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: www.nesst.org/sewf/

❖ სოციალური მეწარმეობის IV გლობალური სამიტი

2012 წლის 8-10 ნოემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა სოციალური მეწარმეობის მე-4 გლობალური სამიტი პროფესორ Muhammad Yunus-ის ხელმძღვანელობით, Yunus Centre-ისა და The Grameen Creative Lab-ის მიერ.

სამიტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრებზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, სტუდენტებს, ახალგაზრდა ლიდერებს, ბიზნესმენებს, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენლებმა განიხილეს და ერთმანეთს გაუზიარეს ხედვა შემდეგ ძირითად საკითხებზე: სოციალური მეწარმეობის არსი; პერსპექტივები და საუკეთესო პრაქტიკები; ასევე მრავალრიცხოვანი სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის შეიმუშავეს კონკრეტული სოციალური სამეწარმეო იდეები.

სამიტზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ Hans Reitz (Head of Global Social Business Summit and Managing Director of The Grameen Creative Lab), Muhammad Yunus და HM Queen Sofia of Spain, ეს უკანასკნელი სამიტის განსაკუთრებული სტუმარი იყო. სამიტზე სიტყვა წარმოთქვეს სხვადასხვა სფეროს წამყვანმა წარმომადგენლებმა; ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებიდან აღსანიშნავია: Adidas Group; Deutsche Telekom; Humana; Procter & Gamble; Volkswagen. სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებიდან: Harvard Business School; Asian Institute of Technology; California State University Channel Island; National University of Singapore; University of Glasgow. პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლებიდან: European Commission; European Parliament; United Nations; Ministry of Economic Development of Russian Federation; Canadian International Development Agency.
სამიტზე საკმაოდ მოცულობითი და გლობალური თემები განიხილეს:

- ✓ სოციალური საწარმოებისთვის დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობა; საუკეთესო პრაქტიკები და გამოწვევები სტრუქტურული ხედვის კუთხით; ინოვაციური გზები.

✓ სოციალური მეწარმეობის გზამკვლევი: როგორ დავიწყოთ სოციალური სამეწარმეო მოძრაობა? - საფრანგეთის, იაპონიის და კოლუმბიის მაგალითები; წარმატებული სოციალური საწარმოს შექმნა - როგორ განვავითაროთ და გავაფართოვოთ სოციალური საწარმო? როგორ გავზომოთ სოციალური საწარმოს სარგებელი?

✓ სოციალური მეწარმეობა სამეცნიერო საზოგადოებაში - როგორ შეუძლიათ სტუდენტებს ჩაერთონ სოციალურ მეწარმეობაში. ასაკი, როგორც უპირატესობა - როგორ გამოვიყენოთ ასაკოვანი ადამიანების პოტენციალი სოციალურ მეწარმეობაში. სოციალური მეწარმეობა, როგორც მარგინალური ჯგუფების პრობლემების მოგვარების გზა - "Dialogue in the Dark"-ის გამოცდილება.

✓ ღარიბი მოსახლეობისთვის სამედიცინო სერვისის მიწოდების ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტები და ბიზნეს მოდელები. სოციალური მეწარმეობა შიმშილის და საკვების სიმცირესთან ბრძოლაში. სოციალური მეწარმეობის მოდელი რომელიც უზრუნველყოფს სასმელ წყალს ღარიბ რაიონებში. სოციალური მეწარმეობა ჰაიტიზე მომხდარი ცვლილებების კატალიზატორის როლში. სოციალური საწარმოების ამოქმედება აფრიკაში. სოციალური მეწარმეობა საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში - ალბანეთის მაგალითი.

კონკრეტული ინფორმაცია სამიტზე განხილულ საკითხებზე შეგიძლიათ იხილოთ სპეციალურად მომზადებულ რეპორტში ბმულზე: www.grameencreativelab.com/sites/default/files/ocd/global-social-business-summit2012 follow-up-report-final.pdf

❖ თუ თქვენ აღარ გსურთ მიიღოთ **სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის** შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით www.cse.ge

ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს"

"ღია საზოგადოება - საქართველო" eed "ეკლესიის განვითარების სააგენტო"